პროლეტარიტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 23 მაისი, 1952 წ. № 121 (9281). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მშრომელთა კულტურული საზაფხულო დასვენებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ციმლიანსკაიას ზღვის კარი (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — როცა დადგენილებათა შესრულებისათვის არ ზრუნავენ (მე-2 გვერდი).
მხარი დავუჭიროთ კრიტიკას ქვემოდან (მე-2 გვერდი).
ვ. კახეთელიძე — „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა სამსახურში (მე-2 და მე-3 გვერდი).
ქართველი სპეციალისტები ვოლგა-დონის სანაოსნო არხის შენებლობაზე (მე-3 გვერდი).
კურორტი მანგლისი (მე-3 გვერდი).
საქართველოს პროფსაბჭოში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშრომელთა კულტურული საზაფხულო დასვენებისათვის

„...ბამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ადამიანი გარემოსილია ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მუდმივი ყურადღებითა და მზრუნველობით. „...მთელი იმ ენერგიასა კაპიტალებიდან, რომლებიც ოქტომბერი მოიპოვება, ყველაზე ძვირფასს და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს ქმნიან ადამიანები, კადრები“ (ი. სტალინი).

...ამაში, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები სიღატაკისა და ...ომელობის ტყვეობაში იმყოფებიან, იმპერიალისტი ყაჩაღები კი მილიონობით ...ანხებს ხარჯავენ ახალი ომის მოსამზადებლად და გასაჩაღებლად, ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად, განუხრელად ...ოდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, დღითიდღე უმჯობესდება ...ისი საყოფაცხოვრებო პირობები.

...ოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა დიად უფლებათა შორის საბჭოთა ადამიანები ფართოდ სარგებლობენ დასვენების უფლებით. საბჭოთა ...ახელმწიფო ყოველწლიურად დიდ-...ულ სახსრებს ამანდებს მშრომელთა ...ულტურული დასვენების უზრუნველ-...ოფისათვის. მშრომელთა განკარგულებაშია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კლუბების ფართო ...ელი.

...ახლოვდება მშრომელთა დასვენებისათვის საუკეთესო პერიოდი — ზაფ-...ული. ზაფხულის დღეებში ათასობით ...ამსვენებელი გაემგზავრება ჩვენი რეს-...უბლიკის კურორტებისაკენ, რომლე-...ც განთქმულია მთელ საბჭოთა კავ-...ირში. საქართველოს კურორტებზე ...ასასვენებლად და ჯანმრთელობის აღ-...ადგენად გაემგზავრებიან არა მარტო ...ესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონე-...ბიდან, არამედ ჩვენი თვალუწვდენი სამ-...ობლოს სხვადასხვა კუთხიდან — მოს-...ოვიდან და ლენინგრადიდან, მინსკი-...ან და კიევიდან, სტალინგრადიდან და ...ბაკენტიდან... მარტო პროფკავშირთა ...ზით პიონერთა ბანაკებში მუშა-მო-...ამსახურეთა 32.000-ზე მეტი ბავშვი ...ასვენებს.

...დედაქალაქის მშრომელთა დასვენე-...ისა და გართობის საუკეთესო ადგი-...ებია სტალინისა და ორჯონიკიძის სა-...ელობის კულტურისა და დასვენების ...არკები, აგრეთვე ბევრი ბაღი და სკვე-...რი, სადაც ზაფხულის პერიოდში მრა-...ვალი მშრომელი იყრის თავს. მაგრამ ...ამ პარკებისა და ბაღების კეთილმოწყო-...ებისათვის გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ...არ კმარა. გასული ზაფხულის გამო-...ცდილებით ვიცით, რომ ასეთ ადგი-...ლებში ცოტა იყო გამაგრილებელი ...წყლების ფარდულები, სკამები და ...სხვ. წელს ასეთი რამ აღარ უნდა გა-...მორდეს. თბილისის მშრომელთა დე-...პუტატების საქალაქო საბჭოს აღმას-...კომს მხედველობიდან არ უნდა გა-...მორჩეს ასეთი „წვრილმანები“.

...როგორ მოემზადნენ მიმდინარე ...წლის სეზონისათვის საქართველოს ...კურორტები?

...ახალ სეზონს მომზადებული შეხ-...დნენ შავი ზღვის სანაპიროს და საქარ-...თველოს სხვა მთელი რიგი კურორტები. ...კურორტმა გაგრამ უკვე მიიღო დამსვე-...ნებელთა პირველი პარტია. მნიშვნე-...ლოვანი სამუშაოები შესრულდა გაგ-...რის—საბჭოთა კავშირში ჯანმრთე-...ლობის პირველხარისხოვანი სამკურ-...ლის შემდგომი კეთილმოწყობისა და ...გამშვენიერებისათვის. დამსვენებლებს ...მომზადებული დახვდნენ კურორტები —სუხუმი, ბათუმი, გუდაუთა და სხვ.

...ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ...სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინის-...ტროს და საკავშირო პროფსაბჭოს ...ყველა კურორტზე საქმე რიგზე იყოს. ...ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგჯერ ...უყურადღება არ ექცეოდა კურორტებ-...ზე კადრების შერჩევისა და განაწი-...ლების საქმეს, რომ ხელმძღვანელ სა-...მუშაოზე ისეთი პირები აღმოჩნდე-...ბოდნენ ხოლმე, რომლებიც თანამდე-...ბობას პირადი გამდიდრებისა და სა-...კუთარი ცხოვრების პირობების გასა-...უმჯობესებლად იყენებდნენ. ამის გა-...მო დამსვენებლები სამართლიან უკ-...მაყოფილებას გამოთქვამდნენ. კუ-...რორტებზე არადამაკმაყოფილებლად ...იყო დაყენებული პოლიტიკურ-მასობ-...რივი და კულტურულ-საგანმანათ-...ლებლო მუშაობა. იშვიათი როდი იყო ...შემთხვევა, როცა სანატორიუმის უპა-...ტიოსნო მუშაკებს მფარველობდნენ ...თავიანთი „შეფები“. მოვიყვანთ მხო-...ლოდ ერთ მაგალითს.

1950 წელს საკავშირო პროფსაბჭოს ...მწვანე კონცხის სანატორიუმს დირექ-...ტორად მოეყვანა ზესტაფონის რაიო-...ნის სოფელ ქვედა საქარის საექიმო ...პუნქტის გამგე პეტრე იოსელიანი. ...თავისი „შეფის“—საკავშირო პროფსაბ-...ჭოს სანატორიუმებისა და დასასვენე-...ბელი სახლების საქართველოს სამ-...მართველოს უფროსის კ. კობახიძის ...ხელშეწყობით და მფარველობით ...პ. იოსელიანმა მრავალი დანაშაული ...და უმსგავსო მოქმედება ჩაიდინა. ...პ. იოსელიანი თანამდებობიდან ამ ...დღეებში, როგორც იქნა, „ვაათა-...ვისუფლეს“, მაგრამ „შეფი“ მას კვლავ ...დაეხმარა — საკავშირო პროფსაბჭოს ...წყალტუბოს სანატორიუმში განყოფი-...ლების გამგედ მოაწყო.

ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ დამ-...სვენებელთა კულტურული მომსახუ-...რების საუკეთესოდ მოწყობის ნაცვ-...ლად სანატორიუმების ზოგიერთი ...ხელმძღვანელი მუშაკი ამჯობინებს ...საკუთარი ცხოვრების პირობების გა-...უმჯობესებას. ერთხელ და სამუდა-...მოდ უნდა მოეღოს ბოლო კურორ-...ტებზე ხელმძღვანელი კადრების შერ-...ჩევის ასეთ ძმაბიჭურ, არაბოლშევი-...კურ პრინციპს.

ახალი სეზონისათვის მზადებაში ...ყველაფერი რიგზე როდია ბორჯომში. ...საქართველოს სსრ ჯანმრთელობის ...დაცვის სამინისტროს სპეცსამუშაოთა ...კანტორა (უფროსი გ. სარიშვილი) და-...გვიანებით შეუდგა სასტუმრო „ბორ-...ჯომის“ რემონტს. ბორჯომის საკუ-...რორტო სამმართველო უზრუნველყო-...ფილი არ არის საჭირო საშენი მასა-...ლით, ყურადღება არ ექცევა ციხი-...ჯვრის გოგირდოვანი სამკურნალო ...აბანოს კეთილმოწყობას.

ზაფხულის დღეებში ბევრი დამსვე-...ნებელი მიემგზავრება თბილისის საკა-...რეუბნო კურორტებზე. შარშან მთელ ...რიგ კურორტებზე, მაგალითად კიკეთ-...ში, წყნეთში, კოჯორში და სხვაგან, ...ცუდად მუშაობდნენ კურორტვაჭრო-...ების მაღაზიები, რომლებიც არ მარაგ-...დებოდნენ დამსვენებელთათვის საჭი-...რო პროდუქტებით. კურორტვაჭრო-...ების წინაშე დასახულია ფრიად მნიშ-...ვნელოვანი ამოცანა — გაუუჯობესოს ...დამსვენებელთა მომსახურება, დროზე ...მიაწოდოს მათ საჭირო პროდუქტები ...და საგნები. საჭირო გაფართოვდეს ...მაღაზიების, ფარდულების, სასაუზ-...მეებისა და რესტორანების ქსელი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ...მიექცეს კულტურულ-საგანმანათლებ-...ლო და სასპორტო მუშაობის გაშლას, ...დამსვენებელთათვის ლექციებისა და ...მოხსენებების, კონცერტების მოწყო-...ბას, კინოფილმების ჩვენებას, სასპორ-...ტო შეჯიბრებათა გამართვას. ამ საქ-...მეში დიდია პარტიული, პროფკავში-...რული და კომკავშირული ორგანიზა-...ციების როლი.

მნიშვნელოვანი ამოცანები აკისრიათ ...რკინიგზისა და საავტომობილო ტრანს-...პორტის მუშაკებს. ისინი მოვალენი ...არიან სანიმუშოდ მოემსახურონ კუ-...რორტებზე მიმავალ დამსვენებლებს.

შეექმნათ ყველა პირობა, რათა კო-...მუნისტის მშენებელმა ადამიანებმა ...კულტურულად დასვენონ, უფრო გა-...იკაჟონ ორგანიზმი და შემდეგ გაათ-...კეცებული ენერგიით შეუდგნენ შრო-...მას საყვარელი სამშობლოს ძლიერე-...ბის განმტკიცებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

მეშახტის დღის აღსანიშნავი შეჯიბრება

ტყიბული, (საკ. კორ.). ამ დღეებში ტყიბულის შახტებში შეჯამეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში დაწინაურებულმა მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა საერთო კრებაზე ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის გაიჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრა ქვანახშირის ამოღების ყოველთვიური გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა—103 პროცენტით, განვლილ ოთხ თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 5 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით დაზოგოს 150.000 მანეთი.

მოლოტოველთა მოწოდებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ტყიბულელმა მეშახტეებმა. ტყიბულის ყველა შახტში გაჩაღდა ბრძოლა ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად. გელათის შახტის კოლექტივი, რომელიც მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივს ეჯიბრება, დღიურ დავალებებს 115-125 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობენ ლენინის სახელობის შახტში, სადაც ემზადებიან იმისათვის, რომ გადავიდნენ ჰიდრავლიკური ესბით ქვანახშირის ამოღებაზე.

ქვანახშირის მრეწველობის წარჩინებული სტახანოველები ა. ბაკურაძე, ი. ორჯონიკიძე, კ. ცირეკიძე, დ. ტრუფანოვი და მრავალი სხვა ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

მოწინავე მევენახეები

სილნაღი. (საკ. კორ.). კარგად უვლიან წელს ვენახებს სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 100 ჰექტარი მსხმოიარე ვენახია. მარტო ამ დარგით კოლმეურნეობა მილიონზე მეტ ფუოლად შემოსავალს იღებს.

ვენახების დამუშავებაში თავი ისახელეს ბრიგადებმა, რომლებსაც აგროტექნიკოსები მ. ჩალაბაშვილი და მ. ღვედაშვილი ხელმძღვანელობენ. მოწინავე მერგოლურები ნინო ბეგიაშვილი, თამარ გორელიშვილი, მზექალა ღვედაშვილი, ევგენია ტალიაშვილი და ვასილ ღვედაშვილი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 100-120 ცენტნერი ყურძენი. ბეჯითად შრომობენ კოლმეურნეები შაქრო ჯალიაშვილი, იასე და ქიტა ტალიაშვილები და სოლომონ ბეგიაშვილი.

ანაგელ მევენახეებს გადაწყვეტილი აქვთ გეგმის გადამეტებით 2.700 ცენტნერი ყურძენი მოკრიფონ.

ვენახების დამუშავებაში დაწინაურდნენ სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეები. ამ კოლმეურნეობაში ი. ნაცვლიშვილის ბრიგადამ შარშან თვითეულ ჰექტარზე მოსალოდნელ მოსავალს 15 ცენტნერით გადააჭარბა. მარტო ამ ბრიგადის იმ რგოლის წევრებს, რომელსაც სიმონ ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობს, 10.674 მანეთი პრემიაწანამატი ერგოთ.

★

ერთი საამქროს ფეიქართა წარმატებანი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატის მთავარ საქსოვ ხაამქროში წარმატებით გაანაღდეს საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. აპრილის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.100 მეტრი ქსოვილი, დამზადებულია 3 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული.

მაისში უფრო მეტი ენერგიითა და ნაყოფიერებით მუშაობენ ფეიქრები, რაც დიდად უწყობს ხელს საამქროს წარმატებებს. საამქროს კოლექტივმა 8 მაისს გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო 9 მაისს — 117 პროცენტით. 36 ბრიგადიდან თითქმის ყველა მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს დავალებას და დღითიდღე აღიდებს მაღალხარისხოვანი კრეპდეშინის, კრეპსატინის, აბრეშუმის ტილოს და სხვა ძვირფასი ქსოვილების გამოშვებას. მაგალითად, მ. ქავთარაძის, რ. ფილიას და დ. შველიძის ბრიგადები ყოველდღე დამატებით უშვებენ 200-300 მეტრ ქსოვილს.

თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ახალგაზრდა ფეიქრებს, რომლებიც ახლახან ჩადგნენ მრავალდაზგოსანთა რიგებში. მაგალითად, ნ. ძოწენიძე, ვ. გაბედავა, გ. ლობჟანიძე, ნ. წიქვაძე და ზ. კირილოვა 140-160 პროცენტით ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმებს.

თელავის მტს-ს გაჩრდამავალი ნითელი დროშა გადაეცა

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა (დირექტორი ნ. ჩხოტუა, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში თ. ნათელაძე) ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტი ვადამდე დაამთავრა. ამ საქმეზე დაზოგილია 76.797 მანეთი. მიმდინარე წლის 6 თვის სამუშაო გეგმა 144 პროცენტით შესრულდა.

მოპოვებული წარმატებისათვის თელავის მტს-ს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ გარდამავალი წითელი დროშა და 20.000 მანეთი პრემია მიაკუთვნეს.

ამ დღეებში მტს-ის კოლექტივს გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. მტს-ის კოლექტივმა ჯილდოს პასუხად იკისრა მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს.

დაიწყო ყაზანლიყის ვარდის კრეფა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ეთერზეთოვან კულტურების ხორშის საბჭოთა მეურნეობამ წელს უნდა მიიღოს 15,8 ტონა ყაზანლიყის ვარდის მოსავალი. გაჩაღდა ვარდის კრეფა. პლანტაციების საუკეთესო დამუშავების შედეგად ვარდის უხვ მოსავალს იღებს საბჭოთა მეურნეობის მეორე უბანი.

მეურნეობის ზეთსახდელი ქარხანა შეუდგა ვარდის ახალი მოსავლის გადამუშავებას.

უხვად კრეფენ ჩაის ფოთოლს

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). გაჩაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა. სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც წელს 1.100 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ, უკვე მოკრეფილია პირველი 30 ტონა. უდანაკარგოდ იღებს ჩაის მოსავალს მეთორმეტე ბრიგადა (ბრიგადირი ა. ვეკუა), რომელიც წელს 160 ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფს, საშუალოდ ჰექტარზე 4 ტონას. რგოლი, რომელსაც ჩაის ფოთლის სახელგანთქმული ოსტატი ამხ. ცაცა ქარდავა ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 5 ტონა ფოთოლს მოიღებს, თვით მერგოლური კი ჰექტარზე 16 ტონას. ბრიგადამ ჩაის ფაბრიკას უკვე ჩააბარა 3,8 ტონა ფოთოლი.

უდანაკარგოდ იღებენ ჩაის უხვ მოსავალს სოფელ ჭლოუს ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ საშუალოდ ჰექტარზე ვალდებულების თანახმად უნდა მიიღონ 4 ტონა ჩაის ფოთოლი. მოწინავე კოლმეურნეები ც. ბერაძე, ფ. ჯონუა, ბ. გოგოხია და სხვები ჰექტარზე 16 ტონა ჩაის ფოთლის მოყვანისათვის იბრძვიან.

გაჩაღდა შაქრის ჭარხლის პლანტაციების დამუშავება

გორი. (საკ. კორ.). სოფელ თორტიზის კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის პლანტაციების დამუშავებაზე ფართოდ იყენებენ მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკას და მეჭარხლე-ნოვატორთა გამოცდილებას. კოლმეურნეებმა დროზე მოაწყეს ნათესის პირველი მსუბუქი გაფხვიერება და გამოხშირვა. განსაკუთრებით გულდასმით ამუშავებენ ჭარხლის პლანტაციებს ის რგოლები, რომლებსაც ევა ახალკაცი, ვლადიმერ ბერძნიშვილი და დავით ახალკაცი ხელმძღვანელობენ. მერგოლურთა ვალდებულებაა თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 900-1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

შაქრის ჭარხლის პლანტაციებს კარგად უვლიან სოფელ სკრის კოლმეურნეობაში. ე. სეფიშვილის რგოლმა ყველაზე ადრე დაამუშავა ჭარხალი, მაღალხარისხოვნად შეასრულა პირველი სამუშაოები. რგოლი იბრძვის იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება — თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ მცირე 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. უნდა აღინიშნოს, რომ სკრის კოლმეურნეობა ყოველწლიურად განიცდის პლანტაციების მოსარწყავი წყლის ნაკლებობას. ეს იმიტომ, რომ მოუგვარებელია სკრა-ქარელის სარწყავი არხით წყლის ნორმალური გამოყენება. სკრელ კოლმეურნეთა კანონიერ მოთხოვნას გორისა და ქარელის რაიონების წყალთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

გორელ მეჭარხლეებს წელს სერიოზული ვალდებულება აქვთ ნაკისრი — 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 520 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. გორელ მეჭარხლეთა ღირსების საქმეა პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულება.

ციმლიანსკაიას ზღვის კარი

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 19 მაისი. (საკ.კორ.). ზღვაზე მაღლა აღმართა მე-14 რაბის კოშკები. მის ყველა სართულში დაძაბული მუშაობაა. მრავალი პლაკატი მოაგონებს მშენებლებს, რომ სულ რამდენიმე დღე დარჩა იმ ვადამდე, როცა სახელმწიფო კომისია დაიწყებს ნაგებობათა მიღებას. მალე მოხსნიან ხარაჩოებს, და ციმლიანსკაიას ზღვის კარი მორთულ-მოკაზმული წარუდგება ვოლგიდან დონისაკენ მიმავალ გემებს.

საკადესის კორესპონდენტთან საუბარში პირველი სამშენებლო რაიონის უფროსმა გ. ს. კლიმინმა ილაპარაკა, თუ როგორ მზადდება საექსპლოატაციოდ ვოლგა-დონის ყველაზე დიდი რაბი — მე-14 რაბი.

— ჩვენს რაიონზეა, — ამბობს ამხ. კლიმინი, — მოპყრობილი ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებელთა ყურადღება. ეს გასაგებია. ჩვენ ვაშენებთ ჰიდროკვანძის სანაოსნო ნაწილს—მე-14 და მე-15 რაბებს, მათს შემაერთებელ არხს. ქვედა არხმა, რომელიც მე-15 რაბიდან მოდის, წყალი უკვე მიიღო. ამ სანაოსნო ხაზზე, რომელიც ვოლგა-დონის წყლის სისტემის გაგრძელებაა, მალე გაივლიან პირველი გემები.

ციმლიანსკაიას ზღვის წყალი, რომელმაც ვეებერთელა კალაპოტი აავსო, მე-14 რაბის კარს მიუახლოვდა. წყალი თანდათან მატულობს. მოკლე ვადაში უნდა მოვამზადოთ საექსპლოატაციოდ სანაოსნო ნაგებობანი, ხიდები არხზე. მუშაობა ყველა ობიექტზე დასასრულს უახლოვდება. ამჟამად მშენებლობას ემსახურება 360-ზე მეტი მძლავრი თვითდასაცლელი და ბორტიანი ავტომანქანა, 20-მდე ექსკავატორი, სკრეპერი, ბულდოზერი და ბევრი სხვა სამშენებლო მექანიზმი.

მე-14 რაბის სამართავ კოშკებზე მთავრდება მოსაპირკეთებელი სამუშაოები და უკანასკნელი მექანიზმების მონტაჟი. საამწეო მექანიზმის მრავალტონიან კბილანებზე ჰკიდებენ მასიურ ჯაჭვებს. წარმოებს ელექტრომოწყობილობის მონტაჟი. არქიტექტურულ-მომპირკეთებელი ბრიგადები შეუდგნენ კოშკების გარეგნულ გაფორმებას, — აწყობენ თაღს.

თანდათანობით ვიწყებთ სამშენებლო მექანიზმების მონტაჟს. უკვე დამლილია ოთხი მძლავრი პორტალური ამწე. ვიწყებთ უკანასკნელი ამწეების დემონტაჟს.

მზად არის რაბის კამერა. მისი კედლების თხემზე დაიწყო ლითონის ნავმისაბმელი ძელების დადგმა. მე-14 რაბიდან ქვემოთ მე-15-საკენ გაყვანილია შემაერთებელი არხი. იგი გადაჭრა ზღუდარმა, რომელზეც გადიოდა დროებითი რკინიგზა და საავტომობილო გზა. გუშინ დამთავრდა ზღუდარის დაშლა. ამ სამუშაოზე დაბანდებული იყო ორი მძლავრი ექსკავატორი, რომელთაგან ერთს მართავდა წარჩინებული მექანიზატორი კომუნისტი ე. სიმაგი. მეექსკავატორე ყოველ ცვლას 2.500 კუბური მეტრი გრუნტის სარეკორდო. გამომუშავებით ამთავრებდა. ეს 1.500 კუბური მეტრით აღემატება ნორმას.

ახლა შემაერთებელი არხის მთელ სიგრძეზე მე-15 რაბამდე წყალს გზა გახსნილი აქვს.

დასასრულს უახლოვდება ვოლგა-დონის არხის უკანასკნელი რაბის — მე-15 რაბის მშენებლობა. აქაც წარმოებს არქიტექტურულ-მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

ჩვენი კოლექტივი მთელ ლონეს ახმარს იმას, რომ ვადამდე მოაწყოს წყლის სასინჯი გაშვება ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის სანაოსნო უბანზე, ყველა ნაგებობა საექსპლოატაციოდ გადასცეს საუკეთესო შეფასებით.

• • •

გუშინ თუჯის პარაპეტთან რკინა-ბეტონის წყალსაშვებ კაშხალზე, სადაც გზატკეცილის მაგისტრალი შენდება, თავი მოიყარა ათასობით მშენებელმა. ისინი მოელოდნენ მაღლა ზღვის დონის რეგულირებისათვის განკუთვნილ ლითონის მასიურ საკეტებს. საკეტები მაგრად არის ჩარაზული.

მაგრამ აი პორტალური ამწეები მაღლა სწევენ ფარებს. აქაფებული ჩანჩქერი ხმაურით მიექანება ქვემოთ. წყალი ბობოქრობს ბეტონის ფერდობზე, მისი ცისფერი ნაკადები სარინი არხით ერთვის დონის ძველ კალაპოტს. გაივლის რამდენიმე დღე, და მდინარის ქვემო წელში წყალი იმ დონემდე აიწევს, რომელიც შექმნის დიდი ნავიგაციის დაწყების საშუალებას.

კრამატორსკის ექსკავატორები

კრამატორსკი, 20 მაისი. (საკადესი). ჩვენი სამშობლოს ორმოცზე მეტ პუნქტში მუშაობენ სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის ქარხნის მარკის ექსკავატორები. ამ მიწისსათხრელი მანქანების საშუალებით გაჰყავთ არხები, თხრიან ჰიდროელექტროსადგურების ქვაბულებს, წარმოებს ქვანახშირის ამოღება ღია წესით. ქარხანაში კარპინსკიდან მიღებულია დეპეშა ვახრუშევოს ქვანახშირის ტრესტის მაღაროელებისაგან. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ტრესტის ერთ-ერთ ჭრილში ამუშავდა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძლავრი ექსკავატორი—კრამატორსკის ექსკავატორი, რომელსაც აქვს 15 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვი.

ქარხნის სტახანოველები განუწყვეტლივ ამცირებენ ექსკავატორთა გამოშვების ვადებს. ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდების გამოყენებისა და კვანძების პარალელური აწყობის მეოხებით ყოველი მანქანის წარმოების ციკლი, შარშანდელთან შედარებით, შემცირებულია ათი დღეღამით.

დღეს კრამატორსკაიას სადგურიდან აზერბაიჯანში ვაგონებით გაიგზავნა მოსარულე ექსკავატორი, რომლის ციცხვი ოთხი კუბური მეტრი ტევადობისაა. დაკვეთა შესრულდა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ოთხი თვით ადრე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სკულპტურული პორტრეტი ქალაქ ზაბრჟეგში

პრაღა. (საკადესი). ფაშისტური უღლისაგან საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-7 წლისთავის დღეს, ოლომოუცის ოლქის ქალაქ ზაბრჟეგში გაიმართა მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის ხალხის საუკეთესო მეგობრის გენერალისიმუს ოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მონუმენტური სკულპტურული პორტრეტის საზეიმო გახსნას.

3,5 მეტრი სიმაღლის სკულპტურული პორტრეტი დაიდგა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანზე.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ტყეებისა და სატყეო მრეწველობის მინისტრმა მარეკ შმიდამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ისტორიაში 9 მაისი სამუდამოდ შევა როგორც დიდი ისტორიული გარდატეხის დღე, როცა ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ფეხი შედგა ახალ გზაზე იმის მეოხებით, რომ სახელოვანმა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა იგი ფაშისტი ოკუპანტებისაგან.

მიტინგს, რომელიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მძლავრ მანიფესტაციად გადაიქცა, დაესწრო ქალაქის 15 ათასი მუშა და მოსამსახურე, აგრეთვე მეზობლად მდებარე სოფლების გლეხები.

ჩინეთის სახალხო მთავრობის ზრუნვა გლეხებისათვის

შანხაი. (საკადესი). გაზეთი „ძეფანეიბაო“ იუწყება, რომ სამხრეთ ძიანსუს პროვინციაში დამთავრდა მეცადინეობა გლეხთა საზამთრო სკოლებში. არასრული ცნობებით, 1951 წელს პროვინციის საზამთრო სკოლებში სწავლობდა 1.887.000 გლეხი — ორჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს. ამჟამად სახალხო სკოლებში, რომლებიც მთელ წელიწადს მუშაობენ, გადავიდა 921.000-ზე მეტი გლეხი, რაც 100 პროცენტით აღემატება გასული წლის ციფრს. პროვინციის მეტ წილ მაზრებში გლეხთა სალამოს სკოლა ყოველ სოფელშია.

შანხაი. (საკადესი). გაზეთი „სინვენეიბაო“ წერს, რომ შანხაის გარეუბნის 10 რაიონიდან განთავისუფლებამდე არც ერთში არ ყოფილა საბავშვო ბაღები. წელს შანხაის გარეუბნის რაიონებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დროს გაიხსნა 109 ბაღი.

გასული ორი წლის მანძილზე სახალხო ხელისუფლებამ შანხაის გარეუბნის რაიონების გლეხებს ბაღების შესანახავად მისცეს სუბსიდიები 300 მილიონი იუანის რაოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება ბულგარეთში

სოფია, 21 მაისი. (საკადესი). სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა მრეწველობის ახალი დარგია, რომელიც სახალხო-დემოკრატიულ ბულგარეთში წარმოიშვა. ამჟამად მრეწველობის ამ დარგის საწარმოები საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით წარმატებით ეუფლებიან რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებას. ახლა ბულგარეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ამზადებს ყველა სახის მანქანებს ტრაქტორებისა და კომბაინების გარდა.

საგაზაფხულო თესვის წინ ჩირპანის ქარხანამ აითვისა „სხს-63“ ტიპის მწკრივად სათესი მანქანების წარმოება. ამ სათესებს იყენებენ ყველა მარცვლეული კულტურის, აგრეთვე ბამბის სათესად. ქარხანამ უკვე დაამზადა 100 ასეთი სათესი. ქარხანამ აითვისა აგრეთვე „სეკ“ ტიპის მაღალი წარმადობის მანქანის წარმოება, რომელიც გამოსადეგია ბამბის თესვასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოსათვის.

რუსეს გიორგი დიმიტროვის სახელობის ქარხანამ დაიწყო გამოშვება „როსტსელმაშის“ ტიპის გუთნებისა, რომლებიც შეესაბამებიან ბულგარეთის მინდვრებში მომუშავე საბჭოთა ტრაქტორების სიმძლავრეს. მიმდინარე წლის დამლევამდე ქარხანა 900 ასეთ გუთანს გამოუშვებს.

ფიზიკური კულტურის განვითარება რუმინეთში

ბუქარესტი, 21 მაისი. (საკადესი). რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებში ჩაღდება საზაფხულო სასპორტო შეჯიბრება და თამაში. მათში მონაწილეობს 10 ათასი სასპორტო კოლექტივი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 840 ათასზე მეტ კაცს. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით ამბობს ნორმებს ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“. შარშან ამ საპატიო ნიშნის მიღების უფლება მოიპოვა 100 ათასმა ჭაბუკმა და ქალაშვილმა. ამჟამად მშთ ნიშნისნად გიზდომისათვის ემზადება კიდევ 160 ათასი კაცი. 200 ათასზე მეტი ახალგაზრდა გლეხი ქალი და კაცი წელს მონაწილეობას მიიღებს სოფლებს, რაიონებსა და ოლქებს შორის სპორტის სხვადასხვა სახის ბრძოლობის გათამაშებაში.

უმჯობესდება რუმინელ სპორტსმენთა ოსტატობა. მათ შორის 144 საუკეთესოს, აქედან 32 ქალს, შარშან და წელს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

როცა დადგენილებათა შესრულებისათვის არ ზრუნავენ

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი გასული წლის ივლისის ბოლომდე მოწინავე კოლექტივი იყო საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში. შახტი სისტემატურად ადიდებდა ქვანახშირის ამოღებას, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. განსაკუთრებით დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული წინ ახალი სამთო ტექნიკისა და ქვანახშირის ამოღების მოწინავე, მეცნიერულად გამართლებული, რენტაბელური მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის ათვისების საქმეში.

ამ წარმატების მოპოვებაში დიდ როლს ასრულებდა შახტის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც წინ უძღოდა და წარმართავდა მუშახტეთა მთელი კოლექტივის შემოქმედებით შრომას. მაგრამ, როგორც ჩანს, სამეურნეო წარმატებებმა თავბრუ დაახვია ზოგიერთ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკს. სხვანაირად არ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ შახტის პარტბიურომ შეასუსტა ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რამაც თავისი კვალი დაჩნია საწარმოო გეგმის შესრულებას. გასული წლის მეორე ნახევარში შახტმა ათასობით ტონა ქვანახშირი დააკლო სამშობლოს, წლიური გეგმა 97,6 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო გაუარესა მუშაობა მიმდინარე წელს. ქვანახშირის ამოღების მარტის დავალება შესრულებულ იქნა 93,8 პროცენტით, აპრილისა — 84,7 პროცენტით.

პარტიული ორგანიზაცია, მართალია, ხშირად ღღებს დადგენილებებს ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით, მაგრამ მას პრაქტიკული შედეგი არ მოსდევს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ პარტორგანიზაცია მტკიცე კონტროლს არ უწევს სამეურნეო საქმიანობას, გამოაქვს ზოგადი დადგენილებანი და არ ამოწმებს მათ შესრულებას. ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოების რეზერვების გამოვლინებას და მათს გამოყენებას.

თუ შევისწავლით პარტიული კრებების ოქმებს, დავინახავთ, რომ ხშირად პარტიული კრება საკითხებს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით იხილავს, რასაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოსდევს. მაგალითად, გასული წლის აგვისტოს მესამე დეკადაში, როცა შახტი სერიოზულად ჩამორჩა და საფრთხეში ჩავარდა ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმის შესრულება, პარტიულმა კრებამ განიხილა შახტის მიერ აგვისტოს გეგმის შესრულების საკითხი. მომხსენებელი კომუნისტი ბ. ჯალაღანია შახტისა და საექსპლოატაციო უბნების მიერ ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულების სტატისტიკური მაჩვენებლების ჩამოთვლითა და უბრალო დამრიგებლური მნიშვნელობის ფრაზებით დაკმაყოფილდა. მას მოხსენებაში არ მოუცია ჩამორჩენის მიზეზების ღრმა ანალიზი. არც კამათში გამოსულ ამხანაგებს უთქვამთ რაიმე არსებითი. პარტიულმა კრებამ თერთმეტი მუხლისაგან შემდგარი ზოგადი, არაფრისმთქმელი დადგენილება მიიღო. თვითეული საექსპლოატაციო უბნის უფროსს დაავალეს უზრუნველყოფა აგვისტოს დავალების შესრულება. საკითხის ზერელედ განხილვამ საქმეს ვერ უშველა. პარტიული კრების შემდეგ შახტის მუშაობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევაც გაუარესდა. ორი თვის შემდეგ პარტიულმა კრებამ კვლავ განიხილა შახტის მიერ გეგმის შესრულების საკითხი. მომხსენებელმა, იმავე ბ. ჯალაღანიამ წინათ ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გაიმეორა. შახტის ჩამორჩენის მიზეზად კრებამ კვლავ იგივე მიზეზები დაასახელა, ხოლო დადგენილებაში ასეთი მუხლი ჩაწერეს: „დაევალოთ უბნის უფროსებს დაიყვანონ 23-დე ოპერატიული გეგმები თვითეულ მუშამდე და მობილიზაცია უყონ უბნის მთლიან შემადგენლობას, რათა გადაჭარბებით იქნას შესრულებული ოპერ. გეგმა“.

ცხადია, ასეთ ფორმალურ დადგენილებას რაიმე თვალსაჩინო შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა და არც მოჰყოლია.

პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ დარაზმა შახტის კოლექტივი დავალებათა შესასრულებლად, რის გამო არათუ ქვანახშირის ამოღების ოპერატიული, არამედ სახელმწიფო გეგმაც არ შესრულებულა.

მიმდინარე წლის 5 აპრილს სტალინის სახელობის შახტის ჩამორჩენის საკითხი საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. ბიუროს სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ შახტში მოისუსტებდა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოება, რის გამო დიდი დაგვიანებით ხდებოდა ლავების გაშვება ექსპლოატაციაში. დაბალი იყო სამთო გამონამუშევრების გადამაგრების ხარისხი. არ უვლიდნენ და მთელი სიმძლავრით არ იყენებდნენ ძვირფას სამთო მექანიზმებს. ყურადღება არ ექცეოდა შრომის სწორ ორგანიზაციას, რის გამო მრავალი მუშა ვერ ასრულებდა გამომუშავების ნორმებს. შახტისა და უბნების ხელმძღვანელობის მიზეზით ჩაშლილ იქნა ლავების ციკლური გრაფიკით მუშაობა. სოციალისტური შეჯიბრება ატარებდა ფორმალურ ხასიათს, ბევრი ვალდებულება ზოგადი, არაკონკრეტული იყო. შეჯიბრების შემოწმება რეგულარულად არ ხდებოდა. პარტორგანიზაციამ (მდივანი გ. პატარიძე) შეასუსტა მეშახტეთა შორის პოლიტმასობრივი და საგიტაციო მუშაობა, რამაც თავისი კვალი დააჩნია ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებას.

რაიკომის ბიურომ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის სათანადო ღონისძიება დასახა, სამუშაოდან მოხსნა შახტის უფროსი ბ. ჯალაღანია, ხოლო პარტბიუროს მდივანს გ. პატარიძეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებისათვის საყვედური გამოუცხადა.

მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, შახტის კოლექტივი თავს დააღწევდა ჩამორჩენას და ჩადგებოდა მოწინავეთა რიგებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. რაიკომის ბიუროს დადგენილება არ იქნა განმტკიცებული ადგილზე ორგანიზაციული მუშაობით. რაიკომის ბიუროს დადგენილება პარტიულ კრებასაც არ განუხილავს იმის გამო, რომ რაიკომმა რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა დადგენილება პარტიული ორგანიზაციისათვის გაეგზავნა.

შახტში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. მექანიზმები ვერ მუშაობენ სრული დატვირთვით. ბიუროს დადგენილებიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ქვანახშირის მტვირთავი ძვირფასი მანქანა დღესაც არ მუშაობს და, როგორც ჩანს, არც ფიქრობენ მის ამუშავებას. შახტმა მაისის პირველ ნახევარში წინა თვის ამავე პერიოდთან შეფარდებით ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმა გადიდების ნაცვლად უფრო შეამცირა. შახტის კოლექტივი ქვეყანას ყოველდღიურად მრავალ ათეულ ტონა ქვანახშირს აკლებს. ისმება კითხვა: რა აზრი აქვს დადგენილებას, თუ იგი არ შესრულდება?

პარტიის ტყიბულის რაიკომმა და სტალინის სახელობის შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეცვალონ მუშაობის სტილი, გადაჭრით გაუმჯობესონ სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლი და დახმარება, გააძლიერონ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა მეშახტეთა შორის, გამოიჩინონ მუშაობაში ოპერატიულობა და ინიციატივა, მიაღწიონ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, ბოლშევიკურად იბრძოლონ ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

ვ. ციცეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ვლადიმირის ოლქი. ქარხანა „ავტოპრიბორი“ წელიწადია ატარებს კოლექტიური სტახანოვური შრომის საწარმოს სახელს. ქარხნის მუშაკები გეგმას ხისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. დიდი წარმატებებია მოპოვებული პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლაში. **სურათზე:** ოსტატი ნ. სტეპანოვა (მარჯვენივ) ამოწმებს სტახანოველ ლ. ხაინინას მიერ აწყობილ ფარებს. ამხ. სტეპანოვას შინიშვნული აქვს საავტომობილო და ხატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს საუკეთესო ოსტატის წოდება.

ფოტო ვ. ბაიდალოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ჩვენი ქვეყნის ყანებში

სტალინოს ოლქში წვიმებია. ნალექების რაოდენობა ზოგან 32 მილიმეტრს აღწევს. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა კარგად იზრდება. მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო პურეულის სიმაღლე უკვე 40 სანტიმეტრს სჭარბობს. სწრაფად ვითარდება საგაზაფხულო ნათესები.

მაისში მოსული უხვი წვიმების შემდეგ დაღისტნის კოლმეურნეობათა მინდვრებში კარგად ამოვიდა ბამბა.

ზღვისპირეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ შორეული აღმოსავლეთის ძირითადი ტექნიკური კულტურის — სოიას მასობრივ თესვას. ყველგან ითესება საუკეთესო დარაიონებული ჯიშების თესლი.

დასავლეთ ყაზახეთის ოლქის საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს საადრეო მარცვლეულის თესვის გეგმა. ძირითადი სასურსათო კულტურა—ხორბალი დაითესა შარშანდელზე თითქმის 10 ათასი ჰექტარით მეტი. (საკდესი).

გაუმჯობესებული კონსტრუქციის თვითმავალი კომბაინები

ტულა, 20 მაისი. (საკდესი). დღეს თვითმავალი კომბაინების ქარხანამ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში გაგზავნა გაუმჯობესებული კონსტრუქციის სამკალი მანქანების პირველი პარტია.

ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა სტახანოველებთან ერთად მოამზადინა თვითმავალი კომბაინის ბევრი ძირითადი კვანძისა და აგრეგატის მოდერნიზაცია. ახალი სახსრიანი ხედური იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კომბაინი ავტომატურად შეეგუოს მინდვრის რელიეფს და ამით მოწესრიგდეს მოჭრის სიმაღლე.

თვითმავალი კომბაინის მოდერნიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი ტექნიკურ-საექსპლოატაციო თვისებანი და უზრუნველყო წარმადობის გადიდება.

მხარი დავუჭიროთ კრიტიკას ქვემოდან

საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის. არღვევენ არტელის სანიმუშო წესდებას. ხდება საკოლმეურნეო ქონების განიავება და მითვისება. დანაშაულებრივად მოქმედებს კოლმეურნეობის ბუხჰალტერი შ. კომლაძე. მან მოახერხა მიწის გაცვლის წესით უვარგისის მაგიერ კოლმეურნეობისაგან საუკეთესო საკარმიდამო ნაკვეთი მიიღო. შ. კომლაძე ამჟამად ორგან ცხოვრობს და ნორმაზე მეტ საკარმიდამო ნაკვეთს ფლობს. მან საკუთარი სახლის მშენებლობაზე კოლმეურნეები ამუშავა, რაზეც 500 კილოგრამი სიმინდი გასცა საწყობიდან.

ამას წინათ ფერმაში ძროხები დაიწუნეს, სპეციალური აქტით მათი გაყიდვა გადაწყვიტეს და ძროხები იაფფასებში თვითონ კანტორის თანამშრომლებმა შეისყიდეს. გასული წლის ოქტომბერში კოლმეურნეობის გამგეობამ შრომადღეებზე დასარიგებელი ყურძენი კოლმეურნეთა სურვილით მათ სახელზე სახელმწიფოს ჩააბარა. ამ ოპერაციით კოლმეურნეობის აპარატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ხელი მოითბეს. კოლმეურნეებს დაბალი ჯიშის ყურძენი ჩაუწერეს, ხოლო კოლმეურნეობის აპარატის ყველა მუშაკმა კი თითქოს ციცქას ჯიშის ყურძენი ჩაბარა, თვითეულ კილოგრამზე რამდენიმე მანეთით მეტი მიიღო. კვალის დაფარვის მიზნით ზოგმა მუშაკმა ზედმეტად ჩაბარებული ყურძენი მშობლების სახელზე გააფორმა. დამახასიათებელია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს აკ. კერესელიძეს ციცქას ჯიშის ვაზი სრულიად არ უდგას, მაგრამ როგორღაც 460 კილოგრამი ციცქა ჩაბარა (ვალდებულებით 20 კილოგრამი უნდა ჩაებარებინა). კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მუკათარიძემ ნაკლოვანებანი 712 კილოგრამი [illegible] ჰალტერმა შ. კომლაძემ 108 კილოგრამის მაგიერ 730 კილოგრამი ჩააბარა. ასევე მაღალი შეფასებით გაინაღდეს თანხები პარტბიუროს მდივანმა გ. პატარიძემ და ხელმძღვანელი აპარატის სხვა მუშაკებმა. ამით მათ კოლმეურნეთა კუთვნილი რამდენიმე ათასი მანეთი მითვისეს.

ეს ამბავი კოლმეურნე კომკავშირელებმა ჯერ კომკავშირის, ხოლო შემდეგ პარტიის რაიკომს აცნობეს. დანაშაული ამჟარა იყო, მაგრამ ქვემოდან კრიტიკას უყურადღებოდ შეხვდნენ.

აღნიშნული დამახინჯებანი კოლმეურნეებმა საანგარიშო კრებაზეც ახსენეს, მაგრამ რაიკომის წარმომადგენელი ამხ. ა. იაკობაშვილი რატომღაც ამ საკითხით არ დაინტერესდა. ეს საქმე რაიპროკურატურამაც იცოდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

ბოლოს კოლმეურნეებმა ყოველივე ეს რაიონულ გაზეთს აცნობეს. რედაქციამ კორესპონდენცია შესამოწმებლად გაუგზავნა რაიონული სამართლის აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას. მიმდინარე წლის 2 აპრილს გაზეთში გამოჩნდა გამოხმაურება, სადაც ეკითხულობთ: „კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მიღებულია ზომები დამნაშავეთა დასასჯელად“. ეს იყო და ეს. მას შემდეგ მეორე თვეა, დამნაშავეები კი თავს არხეინად გრძნობენ. რაიონული ორგანოები რატომღაც წაყრუებას ამჯობინებენ.

ასეთი შემთხვევა საჩხერეში გამონაკლისი არ არის. რაიონში კრიტიკა ქვემოდან ჯერ კიდევ პატივისცემით არ სარგებლობს.

ჯ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩაის ფოთლის კრეფის წესებს არღვევენ

წულუკიძის რაიონის მეჩაიეებს სერიოზული დავალება აქვთ. მათ წელს უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ ორნახევარ მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. მაგრამ ამ ამოცანის შესრულების საქმეს ზერელედ ეკიდება რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება (გამგე გ. რუხაძე). ამითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი მოუვლელია, ჩაის ბუჩქები ეკალბარდებში და სარეველა ბალახებშია ჩაფლული, ბუჩქებს მორის ნიადაგი არ დაუბარავთ. კოლმეურნეობათა უმრავლესობას არ ჩაუტარებია პირველი კულტივაცია, მაშინ როცა მეორე კულტივაციის ვადებიც გავიდა. ამის გამო ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია დაგვიანდა.

ამ დღეებში კოლმეურნეობებმა დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგან უხეშად არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს. მაგალითად, სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ჯანელიძე) 15 მაისს ბუჩქებზე დუყებს თევზა ფოთლიანად კრეფდნენ. არის შემოუსვლელი დუყების კრეფის შემთხვევებიც.

აგროტექნიკოსი თ. ლაითაძე ჩაის პლანტაციებში იშვიათად დადის, ბრიგადირები და მერგოლურებიც ჩაის კრეფას ყურადღებას არ აქცევენ. ამ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. კოლმეურნეებმა ე. ჩიხლაძემ, ლ. მუშკუდიანმა, თ. წივწივაძემ და სხვებმა არ იციან, თუ რომელ ბრიგადასა და რგოლებში არიან გაერთიანებული. ბრიგადებსა და რგოლებს არა აქვთ მიცემული ჩაის ფოთლის კრეფის დავალებები.

არის თვალსაჩინოების ფაქტებიც. კოლმეურნეობებს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში წარდგენილი აქვთ ცნობები, თითქოს ჩაის პლანტაციებში პირველი კულტივაცია ჩაატარეს, მაგრამ ეს დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული. მაგალითად, სოფელ კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას წარდგენილი აქვს ცნობა, თითქოს მეორე კულტივაცია ჩატარებული ჰქონდეს 50 ჰექტარზე, მაშინ როცა პირველი კულტივაციის დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

სოფელ წითელი ვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ადამიამ რაიონს აცნობა, კულტივაცია 77 ჰექტარზე ჩავატარეთო. სინამდვილეში ჩაის ბუჩქები სარეველა ბალახებით არის დაფარული. ასეთი ფიქტიური ცნობები სხვა კოლმეურნეობებსაც აქვთ წარდგენილი.

საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ჩაის კრეფის აგროტექნიკა. არ შევიწყნაროთ უდარდელები და თვალსაბმენები.

ვ. კოპალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ო რ დ ე ნ ე ბ ი ს ა დ ა მ ე დ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ც ე მ ა

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მუშაკებს გადაეცათ სსრ კავშირის ორდენები და მედლები ნამსახურობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

ლენინის ორდენი გადაეცათ ნავსადგურის უძველეს მტვირთავ მუშებს, ბრიგადირებს მ. არუთინიანს, ტ. თუმასიანს და გ. ჩიტაძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 5 კაცმა, მათ შორის მექანიკოსმა ლ. ბარდიენკომ, ნავსადგურის მთავარმა ინჟინერმა ლ. გუჯაბიძემ, საზღვაო სადგურის უფროსმა პ. ბზიავამ და სხვ.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა 7 კაცს, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 11 კაცს.

ორდენები და მედლები მიიღო აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის მუშაკების ჯგუფმა, მათ შორის ა. ოდიკაძემ — ლენინის ორდენი, ვ. ავდიუნინმა — შრომის წითელი დროშის ორდენი.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ტ. თუმასიანმა, გ. ჩიტაძემ, პ. ბზიავამ, შ. სიმონიშვილმა, კ. ზაქარიანმა, ა. ოდიკაძემ და სხვებმა, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიას და მთავრობას მაღალი ჯილდოებისათვის.

დასასრულ ამხ. დ. დავითაძემ დაჯილდოებულთ მიულოცა მაღალი ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში.

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა სამსახურში

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი სატელიტები დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ სამხედრო, ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ხაზით.

იდეოლოგიური ბრძოლა, რომელსაც ისინი აწარმოებენ, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ცრუმეცნიერულ და მავნე რეაქციულ იდეათა ფართო მასშტაბით პროპაგანდისათვის იყენებენ ყოველგვარ შესაძლებლობას.

იმპერიალისტთა იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღს „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციული თეორია წარმოადგენს. ამჟამად ამ „კანონის“ გაძლიერებული პროპაგანდა ორ მიზანს ემსახურება: პირველი, მშრომელთა ფართო მასებს ჩაუნერგოს ის აზრი, რომ მათი სიღატაკე და ჯოჯოხეთური ცხოვრება, ექსპლოატაციის ზრდა და სხვა უბედურება შედეგია არა წარმოების კაპიტალისტური წესისა, არამედ ბუნების სიძუნწისა, მსოფლიოში „ზედმეტი“ მოსახლეობის არსებობისა; მეორე, „ჩვეულებრივ მოქალაქეს“ შეაგნებინოს, რომ კაცობრიობის ხსნის გზას ახალი ომის გაჩაღება წარმოადგენს, ვინაიდან თითქოს მხოლოდ ამ გზით შეიძლება მსოფლიოს განთავისუფლება „ზედმეტი“ მოსახლეობისგან.

დღეს, როდესაც მომაკვდავი კაპიტალიზმის ტრუბადურები ამერიკელ-ინგლისელ რეაქციონერთა ბანაკიდან „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ ანტიმეცნიერულ თეორიას ფართოდ იყენებენ ახალი მსოფლიო ომის პროპაგანდისათვის, ხრწნადი კაპიტალიზმის ღრმა სოციალური წყლულების მისაჩქმალავად, ამ „კანონის“ მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას განსაკუთრებული აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

* * *

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციული თეორიის მიხედვით შრომისა და კაპიტალის ყოველი დამატებითი დაბანდება მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე განსაზღვრული მოცულობის შემდეგ სულ უფრო და უფრო ნაკლებ შემოსავალს იძლევა, ვიდრე კაპიტალისა და შრომის ყოველი წინა დანახარჯი იძლეოდა.

ეს „კანონი“ პირველად ფრანგმა ეკონომისტმა ტიურგომ გამოთქვა 1786 წელს, ხოლო შედარებით სრული სახით მისი ჩამოყალიბება ინგლისელ ეკონომისტ ედუარდ ვესტს ეკუთვნის.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ გამოიყენა იმისათვის, რომ ბუნებრივ მიზეზებზე მითითებით გაემართლებინა კაპიტალიზმის ნაკლოვანებანი, შეზღუდულობა და წინააღმდეგობანი.

ინგლისელმა მღვდელმა მალთუსმა თავის ეგრეთწოდებულ მოსახლეობის რეაქციულ თეორიას საფუძვლად „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ დაუდო. მალთუსი, როგორც ექსპლოატატორული კლასების მსახური, ისტორიული ფაქტების დამახინჯების საფუძველზე „ამტკიცებდა“, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით, ხოლო საარსებო საშუალებები არითმეტიკული პროგრესით. ამიტომ მასების სიღატაკე და გაჭირვება ბუნებაში მომქმედი „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონით“ არის გამოწვეული და არა კაპიტალისტური წარმოების წესით.

ვინაიდან „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ და მასზე დაყრდნობილი მალთუსის თეორია მიზნად ისახავდნენ კაპიტალისტური წყობილების დაცვას, ამ „კანონის“ რეაქციულმა თეორიამ და მოსახლეობის მალთუსიანურმა „თეორიამ“ ბურჟუაზიაში ფართო გავრცელება ჰპოვა.

კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გაფაქვავებისა და მუშათა კლასის სიღატაკის შეუჩერებელი ზრდის გამო ბურჟუაზიის თეორეტიკოსებმა აუცილებლად მიიჩნიეს „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ განმტკიცება საბუნებისმეტყველო მეცნიერების „საბუთებით“.

ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველთა შორის ლიბიხი იყო პირველი, რომელმაც „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციულ თეორიას აგრობიოლოგიური „საფუძველი“ გამოუნახა. ლიბიხი ნიადაგის ნაყოფიერებას (მოსავლის) საკითხს უშუალოდ ადამიანის შრომას კი არ უკავშირებდა, არამედ ბუნებრივ ფაქტორებს. მისი აზრით, ადამიანის შრომას არ შეუძლია გადადოს ნიადაგში არსებული ის ნივთიერებანი, რომლებიც საჭიროა მცენარეულის ზრდისათვის. ლიბიხს ნიადაგის ნაყოფიერება ადამიანის შრომისაგან საკუთარი დამოუკიდებელ თვისობრივ მოვლენად მიაჩნდა. მისი შეხედულებით ყველაზე მეტი, რაც ადამიანის შრომას შეუძლია გააკეთოს მიწათმოქმედებაში, ის არის, რომ ნიადაგში არსებული ნივთიერებანი მოსავლის გადიდებისთვის ხელსაყრელ პირობებში ჩააყენოს და ხელი შეუწყოს მცენარის მიერ მათ ინტენსიურად მოხმარებას. მისი აზრით, მოსავლის გადიდების პარალელურად ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების მარაგი თანდათანობით ილევა. ადამიანს, ამბობს ლიბიხი, თავისი გონივრული მოქმედებით და თაოსნობით შეუძლია ნიადაგს დაუბრუნოს ის ნაყოფიერება, რომელიც მას წაართვა, ნიადაგის ნაყოფიერების საერთოდ გადიდება კი ადამიანს არ ძალუძს. ამ უაღრესად რეაქციული შეხედულების არსი სავსებით ნათელია.

* * *

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ პირველი მკაცრი კრიტიკა მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს.

ენგელსი თავის ადრინდელ ნაშრომში: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ არათუ არ ცნობდა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ არსებობას, არამედ ხაზგასმით აღნიშნავდა ნიადაგის ნაყოფიერების უსაზღვრო ზრდის შესაძლებლობას. „მიწის გამოსავლიანობა შეიძლება უსასრულოდ იქნას გადიდებული, — წერს ენგელსი, — კაპიტალის, შრომის და მეცნიერების გამოყენების გზით“ (ფ. ენგელსი. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“. 1946 წ. გვ. 28).

მარქსი არარეალურ, ყალბ „კანონად“ აცხადებდა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს“ და გარკვევით იცავდა ნიადაგის მზარდი ნაყოფიერების თეორიას: „მანქანებში და სხვა დაბანდებული ძირითადი კაპიტალი... არ უმჯობესდება ხმარების მეოხებით, — წერს მარქსი,—არამედ, პირიქით, იგი ცვდება... მიწა კი, პირიქით, — თუ იგი სწორად მუშავდება, — სულ მუდამ უმჯობესდება“ (კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III. ნაწ. II. გვ. 301).

მარქსი მიწის ნაყოფიერების ზრდას უკავშირებდა საწარმოო ძალების განვითარებას.

მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციულ თეორიას უფრო მეტი დამცველი გამოუჩნდა, რადგან კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად ამ „კანონის“ აღიარების საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა.

ლენინმა თავის ისტორიულ ნაშრომში „აგრარული საკითხი“ და „მარქსის კრიტიკოსები“ არა მარტო გაანადგურა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციული თეორია და დაიცვა მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი ამ საკითხზე, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარების მონაცემების გენიალური ანალიზის საფუძველზე წინ წასწია მარქსისტული მოძღვრება ნიადაგის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის შესახებ.

ლენინმა ამ შრომაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ დამცველი ავტორები მხედველობაში არ იღებდნენ საწარმოო ძალების განვითარების დონეს, წარმოების წესის გარდაქმნის პროცესს, ამიტომაც მათი შეხედულება ყალბი და ანტიმეცნიერული იყო. „ამრიგად: „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ სრულებით გამოუყენებელია ისეთი შემთხვევებისათვის, როცა ტექნიკა პროგრესს განიცდის, როცა წარმოების წესები გარდაქმნის პროცესშია; მისი გამოყენება მხოლოდ შედარებითი და პირობითია იმ შემთხვევების მიმართ, როცა ტექნიკა უცვლელი რჩება“. (ვ. ი. ლენინი. ტ. 5. გვ. 127).

ლენინს „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ ტექნიკის უცვლელობის პირობებში დაშვების შესაძლებლობაც იმდენად შედარებით და პირობით მოვლენად მიაჩნდა, რომ ამ „კანონის“ არათუ „უნივერსალობაზე“, არამედ საერთოდ არსებობაზე ლაპარაკიც შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან შრომისა და კაპიტალის დამატებით დაბანდებას მიწაზე, უცვლელი ტექნიკის პირობებშიც, უთუოდ და აუცილებლად არ მოსდევს ნაყოფიერების შემცირება.

„კლებადი ნაყოფიერების კანონი“ რომ არ არსებობს, ამას ნათლად ამტკიცებს თვით კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკა, თუ აღარაფერს ვიტყვით სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკაზე, რომელიც სავსებით აშკარას ხდის „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ არარსებობას და სრულ უსაფუძვლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწათმოქმედების რაციონალურად წარმართვა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, შეუძლებელია, მაინც 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე პურის მოსავალი 1909 წელს უდრიდა 9,9 ცენტნერს, 1940 წელს 10,2 ცენტნერს. ბრინჯის მოსავალი 1913 წელს უდრიდა 16,8 ცენტნერს, 1926 წელს 21,7 ცენტნერს და სხვ.

„...XIX საუკუნის **მთელი** ისტორია მასობრივი მონაცემებით, — წერს ლენინი,—რომლებიც სულ სხვადასხვა ქვეყანას შეეხება, უცილობლად ამტკიცებს, რომ კლებადი ნაყოფიერების „უნივერსალური კანონი“ **სრულიად გაბათილებულია** იმ ტექნიკური პროგრესის „დროებითი“ ტენდენციით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სოფლის შედარებით (ზოგჯერ კი აბსოლუტურადაც) კლებად მოსახლეობას აწარმოოს მიწათმოქმედების პროდუქტთა მზარდი რაოდენობა მოსახლეობის მზარდი მასისათვის“ (ლენინი. ტ. 5. გვ. 131).

კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში მიწების გამოფიტვა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ მოქმედების შედეგად კი არ ხდება, არამედ კაპიტალისტების მიერ ნიადაგის მტაცებლურად გამოყენების გამო. სოფლის მეურნეობის დეგრადაცია კაპიტალიზმის პირობებში ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობის შედეგია და არა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონისა“. კაპიტალიზმის პირობებში მიწათმოქმედების პროგრესსაც არ შეუძლია შეაჩეროს სოფლის მეურნეობის დაქვეითება, მიწების ნაყოფიერების ამოწურვა, რადგანაც, „...კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყოველი პროგრესი,—წერს მარქსი, — არის იმავე დროს პროგრესი არა მარტო მუშის გაძარცვის ხელოვნებისა, არამედ— ნიადაგის გაძარცვის ხელოვნებისაც, ნიადაგის ნაყოფიერების დროებითი ზ

ქართველი სპეციალისტები ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგებით წყდება ვოლგასა და დონს შუა მდებარე ველების მორწყვის პრობლემა. სახნავ-სათესად წინათ გამოუყენებელი ამ უზარმაზარი ველების მოსარწყავად გაყვანილ იქნა გრანდიოზული სარწყავი ქსელი. სამშენებლო ორგანიზაციამ „როსტოვ-დონვოდსტროიმ“ დიდი სამუშაო განახორციელა. ერთი წლის განმავლობაში შესრულებულ იქნა მილიონობით კუბური მეტრი მიწის სამუშაო. გათხრილია სარწყავი და წყალსაგდები არხები, აგებულია ბეტონისა და რკინაბეტონის ათასობით ჰიდროტექნიკური ნაგებობა — წყალვარდნილები, სწრაფდენები, აკვედუკები, რაბები, გვირაბები, ხიდები, წყალგამომშვებები.

სარწყავ რაიონებში გაჩნდნენ კეთილმოწყობილი სოფლები. ილიჩის ნაოურებმა გაანათეს მთელი ეს მხარე.

ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ველზე პასუხსაგებ საქმედ ითვლებოდა არხში წყლის გაშვება, რადგან სარწყავი სისტემის ქსელი მრავალი სხვადასხვა ზომის არხისაგან შედგება. არხში წყლის გათვალისწინებული რაოდენობით გაშვებაზე დაწესებული იყო გაანუწყვეტელი ტექნიკური მეთვალყურეობა, რისთვისაც საჭირო იყო სათანადო ცოდნით აღჭურვილი მრავალი გამოცდილი ტექნიკური მუშაკი. ცხადია, მშენებლობას ისინი ასეთი რაოდენობით არა ჰყავდა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის იმ რესპუბლიკებიდან, სადაც მორწყვის მრავალი წლის გამოცდილება აქვთ, დასახმარებლად გაეშურნენ საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტები.

მიმდინარე წლის აპრილში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დონისა და აზოვის სარწყავი არხები. დონის წყალმა საამოდ ააბიბინა ჯეჯილები. განხორციელდა ჩვენი ხალხის დიდი ხნის ოცნება: მოსავლიანობის საშინელი მტერი— გვალვა დამარცხებულია დონის უდაბურ ველებზე.

ჩვენი რესპუბლიკიდან მივლინებული იყო საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფი. ქართველმა სპეციალისტებმა აქტიური დახმარება გაუწიეს და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს დონელ ამხანაგებს. სპეციალისტთა იმ ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. ხლებნიკოვი, ინჟინერი ნ. ზვორიკინი, ახალგაზრდა სპეციალისტები პ. ფხაკაძე, პ. შატბერაშვილი, ს. კალმახელიძე და სხვები, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის კ. არსენიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით, უავარიოდ ჩაატარა წყლის პირველი გაშვების ოპერაციები.

მშენებლობაზე ქართველი სპეციალისტები გაეცნენ შრომის ორგანიზაციის ახალ მეთოდებს, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ახალ ტიპებს. მიღებულ გამოცდილებას ისინი ფართოდ გამოიყენებენ მომავალ მუშაობაში, კერძოდ სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგის მშენებლობაზე.

გ. რურუა
გ. გაჩეჩილაძე

საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტები

საქართველოს პროფსაბჭოში

სავაჭროებისა და ბაზრების ზაფხულში მუშაობისათვის მზადყოფნის შემოწმება

სავაჭროების, საზოგადოებრივი კვების ქსელისა და ბაზრების ზაფხულის პერიოდში ვაჭრობისათვის მომზადების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და ადგილკომებს დაავალა პროფაქტივის ძალებს, სამედიცინო მუშაკებისა და სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების მონაწილეობით მოაწყონ მათი მასობრივი შემოწმება.

შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს მაღაზიების, სასადილოების, ბუფეტების, ფარდულების, კიოსკების, პავილიონების, მაცივარი დანადგარების რემონტს; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფაბრიკო-საქარხნო სასადილოების, ბუფეტებისა და მაღაზიების შეკეთებას, აუცილებელი ინვენტარითა და ჭურჭლით მათს მომარაგებას, მაცივარი დანადგარებისა და მოწყობილობის რემონტს, დამატებითი წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელის ორგანიზაციას.

შემოწმების პროცესში უნდა მივაღწიოთ ვაჭრობის მუშაკთა მიერ ყველა სანიტარული მოთხოვნის მტკიცედ დაცვას როგორც სავაჭროების შიგნით, ისე მათ მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ვაჭრობის მუშაკთა მიერ პირადი ჰიგიენის წესების დაცვას, სამედიცინო შემოწმებისა და სანიტარულ-ტექნიკური მინიმუმის დროულად გავლას.

იმ საწარმოებისა და დაწესებულებების პროფორგანიზაციებმა, რომელთა მუშა-მოსამსახურეებს მომსახურებას უწევენ სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიები და სასადილოები, უნდა მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო და საზეკვების კომისიებმა შეამოწმონ სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელის მზადყოფნა ზაფხულის პერიოდში ვაჭრობისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეთხოვა მითითება მისცეს თავის ადგილობრივ ორგანოებს პროფორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ შემოწმებაში და ფართოდ გააჩაღონ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

სტახანოვური სკოლები

თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბანში ყურადღებით ეკიდებიან რკინიგზელთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. უბანში მოწყობილია ორი სტახანოვური სკოლა, რომლებშიც 47 კაცი მეცადინეობს. ისინი სწავლობენ ცნობილი ნოვატორის ამხ. ა. შჩეგლიკინის, სტალინური პრემიის ლაურეატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას მუშაობის მეთოდებს.

სტახანოვური სკოლები უზრუნველყოფილი არიან სათანადო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ნახაზებით, სამეცადინო ოთახით. კონსულტანტებად გამოყოფილი არიან გამოცდილი ინჟინრები ამხ. ა. მორჩაძე, პ. დვალი, ს. აივაზოვი, გ. ხურშედოვი და გ. ზატელეპა.

ამ დღეებში აქ მუშაობას დაიწყებს მატარებლის შედგენის ოსტატების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სადაც 40 კაცი ისწავლის.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

გორი. (საკ. კორ.). მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ პირველი კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ გამარჯვებულად ცნეს გორის საკონსერვო ქარხანა, რომელსაც დაეტოვა კვების მრეწველობის სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა პირველი პრემია. ქარხანამ შეინარჩუნა აგრეთვე საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები საწარმოს წოდება.

ქარხნის კოლექტივში ამ ცნობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

მოწინავე წიგნის მაღაზიები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველომ შეამოწმა 1952 წლის პირველ კვარტალში წიგნის მაღაზიებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

პირველი ადგილი და ფულადი პრემია 1.875 მანეთი მიეკუთვნა „საქწიგნის“ პირველ მაღაზიას (დირექტორი ი. მერაბოვი), მესამე ადგილი და ფულადი პრემია 450 მანეთი — „საქწიგნის“ მეოთხე მაღაზიას (დირექტორი ე. აბაშიძე).

წიგნის მაღაზიებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეორე კვარტალის გეგმის ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ბუენოს აირესი. კოლონადა მთავარი საქალაქო პარკის შესახვევლთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

კურორტი მანგლისი

კურორტი მანგლისი თბილისიდან 63 კილომეტრ მანძილზეა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1.204 მეტრია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მანგლისის კეთილმოწყობას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიექცა ყურადღება კურორტ მანგლისის კეთილმოწყობას. ამჟამად უფრო გამშვენიერდა და გალამაზდა ბუნებრივი ჭალა-პარკი. პარკს ამშვენებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მონუმენტი.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან აღსანიშნავია ბავშვთა ტუბსანატორიუმი (რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს), აგრეთვე მოზარდთა და მოზრდილთა სანატორიუმები. ამ სანატორიუმებმა შარშან მომსახურება გაუწიეს 4.000 დამსვენებელს. წელს 5.000-მდე დამსვენებელს მიიღებენ.

კურორტ მანგლისის ჰავა კარგ შედეგებს იძლევა ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმების კომპენსაციისა და სუბკომპენსაციის პერიოდში, ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზის (დახურული ფორმები), მშრალი პლევრიტის, ქრონიკული ბრონქიტის, მალარიის, რაქიტისა და მთელი რიგი სხვა ავადმყოფობის დროს.

კურორტს აქვს პოლიკლინიკა, სოლარიუმი, საავადმყოფო და სხვ.

შარშან კურორტის კეთილმოწყობასა და რემონტზე 80.000 მანეთი დაიხარჯა. მნიშვნელოვნად შეკეთდა მეორე და მესამე სანატორიუმები. ტყე-პარკს გაუკეთდა ფიცრის ლამაზი ლობე 700 მეტრზე. შეძენილ იქნა სკამები პარკისათვის. შეკეთდა წყალსადენი და ელექტროგაყვანილობა.

წელს კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოებსა და რემონტზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 198.000 მანეთი. უკვე დაიწყო და დასასრულს უახლოვდება ბავშვთა ტუბსანატორიუმის კაპიტალური რემონტი. ტყე-პარკს დამატებით გაუკეთდება ფიცრის ლობე 450 მეტრზე. შეკეთდება სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. საჭიროა მუშაობის ისე წარმართვა, რომ შენობები და სხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი დროზე მოვამზადოთ საკურორტო სეზონისათვის.

მრავალ დამსვენებელს იზიდავს მანგლისი ზაფხულის პერიოდში. აქ ჩამოდიან თბილისის ოლქის სხვადასხვა რაიონიდან საბავშვო ბაგების, ბაღებისა და სახლების აღსაზრდელები საშუალოდ სეზონში 10-12 ათასი კაცი ისვენებს და მკურნალობს მანგლისში. მათი კულტურული მომსახურება კურორტის ხელმძღვანელთა შეუნელებელ მუშაობას ძოითხოვს.

ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. შესაკეთებელია ქუჩები, წყალსადენი. ზაფხულობით კურორტზე წყლის ნაკლებობაა.

კურორტის აბანო ვერ აკმაყოფილებს დამსვენებლებს, საჭიროა მისი გაფართოება. ჭალა-ხეივანში სკამები არ არის.

ელექტროსადგური კარგად არ მუშაობს, რაც დიდად აფერხებს ბინების განათებას. ხეივნებში ელექტროგანათება თითქმის არ არის. კაპიტალური რემონტი სჭირდება ჭალა-ხეივნის ხიდს.

დიდი მოვალეობა აკისრია კურორტ-ვაჭრობას და მანგლისის სამომხმარებლო კოოპერაციას. წელს უნდა გაიხსნას 2 სავაჭრო ფარდული, მაღაზია, ხორცის სავაჭრო წერტი, პავილიონი, რესტორანი და სხვ.

კურორტი მანგლისი მეტი ყურადღების ღირსია. გეგმიანი საკურორტო მშენებლობით იგი ახლო მომავალში უნდა ჩადგეს სახელმწიფო მნიშვნელობის პირველხარისხოვან სამთოკლიმატურ კურორტთა რიგებში.

ი. ასკურავა
ვ. გოზალიშვილი

რკინიგზელთა ბავშვები საზაფხულო ბანაკებში

რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტი შეუდგა მზადებას რკინიგზელთა ბავშვების გასაგზავნად სხვადასხვა კურორტებზე გახსნილ საზაფხულო ბანაკებში.

საგზაო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს წელს ბანაკებში დასასვენებლად გაგზავნოს რკინიგზელთა 3.850 ბავშვი. მათთვის ბანაკები მზადდება დაბა ლესელიძეში, გუდაუთში და ახალ ათონში (შავი ზღვის სანაპიროზე), აგრეთვე სურამში და წაღვერში.

ბანაკების გახსნა გათვალისწინებულია 5 ივნისიდან.

ჩვენ გვწერენ

ეფექტიანი ორგანიზაციული ღონისძიებანი

უმოქმედო ორგანიზაცია

სამასამდე წევრია გაერთიანებული თბილისის საბინაო სამშენებლო კოოპერატივ „ბინმშენში“. მიუხედავად იმისა, რომ ეს კოოპერატივი 16 წელზე მეტია არსებობს, მას დღემდე არა აქვს წესდება. ის მოქმედებს ძველათ არსებული სამშენებლო ამხანაგობის წესდებით, რომელიც არ გამოხატავს კოოპერაციის დანიშნულებასა და ამოცანებს.

კოოპერატივი არ აწარმოებს ბინების მშენებლობას, არც შეკეთებას. გამგეობის საქმიანობა მთელი მისი არსებობის მანძილზე გამოიხატება წევრთაგან გადასახდელის აკრეფით. კოოპერატივი ინახავს გამგეობის ფასიან თავმჯდომარეს და ბუხჰალტერს, აგრეთვე ეწევა სხვა ხარჯებსაც გამგეობის შესანახავად.

სახლები და ბინები, რომლებიც გაერთიანებული არიან კოოპერატივში, შეკეთებას მოითხოვს. ისინი წლების განმავლობაში არ შეკეთებულა იმის გამო, რომ კოოპერატივს საამისო თანხები არა აქვს.

აღსანიშნავია „ბინმშენის“ გამგეობის უმოქმედობა და თავისი წევრების მიმართ უპასუხისმგებლობა. 7 წელზე მეტია არჩეულია გამგეობა და სარევიზიო კომისია. ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა მოწვეული საერთო კრება და არ მოწყობილა ანგარიშგება.

კოოპერატივ „ბინმშენის“ გამგეობა (თავმჯდომარე დ. ახვლედიანი) წევრთა მოთხოვნილებას ანგარიშს არ უწევს. წევრებს საშუალება არა აქვთ მიმართონ გამგეობის თავმჯდომარეს ამა თუ იმ საკითხზე, რადგან იგი „შეთავსებით“ სხვა სამსახურშია, ცეკავშირში მუშაობს და, როგორც ჩანს, „ბინმშენის“ საქმეებისათვის „დრო აღარ რჩება“.

საჭიროა შესწავლილ იქნას კოოპერატივ „ბინმშენის“ საქმიანობა.

ი. თოდუაძე
ს. შენგელია

აგიტმხატვრული ბრიგადები საკოლმეურნეო მინდვრებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური კულტურის სახლმა ჩამოაყალიბა აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც მომსახურებას უწევენ საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ გასულ კოლმეურნეებს.

ბრიგადებში არიან საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მე-7 ოლიმპიადის მონაწილე კოლექტივები — მეფანდურეთა ანსამბლი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მარიამ არჯევნიშვილის ხელმძღვანელობით, ხალხური საკრავების ჯგუფი ა. ხელოიას, მ. ყარალაშვილის, ე. ჯაფარიძის, დ. ზარანდიას და ფ. კერესელიძის შემადგენლობით, აგრეთვე აზერბაიჯანული დრამწრის წევრები საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის აბას ყურბანოვის ხელმძღვანელობით და სხვ.

აგიტმხატვრული ბრიგადები საკოლმეურნეო მინდვრებში აწყობენ კონცერტებს — ასრულებენ სიმღერებს, ცეკვებს, სკეტჩებს, ფელეტონებს, სცენებს, არიებს და სხვ.

სამი აგიტმხატვრული ბრიგადა უკვე გაემგზავრა გარეუბნის, მცხეთის, კასპის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონებში. 18 მაისს აგიტმხატვრულმა ბრიგადებმა მომსახურება გაუწიეს გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის, ნორიოს და თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ გასულ კოლმეურნეებს.

კოლმეურნეები დიდი ხალისით ესწრებიან ბრიგადების გამოსვლებს.

ის ქვეყანა, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, მით უფრო სწრაფად წარმოებს ეს განადგურების პროცესი“ (კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. გვ. 452-453).

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის თანამედროვე დგომარეობა სავსებით ადასტურებს მარქსის მოძღვრების ჭეშმარიტებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში ათვისებული მიწების 70 პროცენტი დაზიანებულია ეროზიით, ხოლო 112 მილიონი ჰექტარი სრულიად უვარგისი მიწის ნაკვეთებად არის გადაქცეული. მიწის ეროზია გამოწვეულია იმით, რომ კაპიტალისტები მიწისა და ტყის ფონდს მტაცებლურად უწევენ ექსპლოატაციას. 1908 წლიდან 1938 წლამდე ამერიკაში გაჩანაგებულ იქნა ტყის საერთო ფონდის დაახლოებით 40 პროცენტი.

ეროზია ისე გამანადგურებლად მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რომ იგი ნაციონალურ უბედურებად არის გამოცხადებული მმართველი წრეების მიერ. ანალოგიური მოვლენებია დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებიც.

კაპიტალიზმის აპოლოგეტი მეცნიერები ნიადაგის გამოფიტვის მიზეზს კაპიტალისტური წარმოების წესის თავისებურებით კი არ ხსნიან, არამედ „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ მოქმედებით.

ამერიკა-ინგლისის რეაქციონერი მეცნიერები „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს“ იყენებენ იმ მიზნით, რომ აგრესორთა მიერ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების მოთხოვნას გამოუნახონ „ბუნებრივი საფუძველი“, სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ჩაითრიონ ახალ მსოფლიო ომში.

ინგლისში და ამერიკაში „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციული თეორიის ფართო გავრცელების მიზნით მასობრივი ტირაჟით იბეჭდება ამ „კანონის“ დამცველ „თეორეტიკოსთა“ წიგნები. „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ პროპაგანდის მიზნით სპეციალური საზოგადოებებია დაარსებული. მორგანისტთა საზოგადოების ჟურნალი თითქმის ყოველთვიურად ბეჭდავს სტატიებს ამ „კანონის“ შესახებ.

თუ რამდენად აქტიურად იბრძვიან ნეომალთუსიანელები ამ „კანონის“ რეაქციული თეორიის პროპაგანდით მშრომელთა ფართო მასების გონების დასახშობად და ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად, საკმარისია ზოგადად გავეცნოთ თანამედროვე ნეომალთუსიანელების „თეორიულ“ ნაცოდვილარს, სახელდობრ ვილიამ ფოგტის, რობერტ კუკის და სხვ. შეხედულებებს.

ვილიამ ფოგტი თავის წიგნში „გზა ხსნისაკენ“ ცდილობს, „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ თეორიას მისცეს ახალი ბიოლოგიური დასაბუთება. ამავე მიზანს ემსახურება რობერტ კუკის წიგნი: „ადამიანთა გამრავლება თანამედროვე დილემაა“.

ორივე ავტორის შრომის მთავარი შინაარსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: მსოფლიო გადატვირთულია ხალხით, იმ მოსავალს, რომელსაც მთელი მსოფლიოს სოფლის მეურნეობა იძლევა, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ამჟამად მსოფლიოში არსებული მოსახლეობის მოთხოვნილება, რადგანაც „ყოველი ახლად დაბადებული ადამიანის კუჭი იმდენივე საზრდოს მოითხოვს, რამდენსაც ძველათ მოითხოვდა, ხელი კი, „კლებადი ნაყოფიერების კანონის“ მოქმედების გამო, ნაკლებს აწარმოებს“. არსებობის ძირითადი წყარო— მიწა და მისი სიმდიდრე ილევა, იწურება, მეცნიერებას კი, მათი აზრით, არ ძალუძს შეაჩეროს ეს პროცესი.

„ქაცობრიობა, — აცხადებს ფოგტი,—მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს და თავი დავანებოთ საჩივარს ეკონომიურ სისტემებზე, ამინდზე, უიღბლობაზე და სხვ.“.

ფოგტის ამ რეაქციული აბდაუბდის დანიშნულებაა. როგორც ამას სწორად შენიშნავდა საბჭოთა პრესა, 1) დაარწმუნოს ფართო მასები იმაში, რომ თითქოს მათი გაჭირვება კაპიტალისტური სისტემის ბრალი კი არ არის, არამედ „ბუნების სიძუნწისა“, 2) ხელოვნურად შეჩერდეს ხალხის გამრავლება და დედამიწა განიტვირთოს ზედმეტი მოსახლეობისაგან.

რეაქციონერ ფოგტის აზრით, კაცობრიობის ხსნის გზა მოსახლეობის შემცირებაა. ამიტომ იგი ყოველგვარ საშუალებას, რაც კი მოსახლეობას შეამცირებს, კაცობრიობის საერთო საქმისათვის სასარგებლო საქმედ აცხადებს. ბახელეთისმოციქული ფოგტი ეპიდემიითა და ომებით ხალხთა სიკვდილიანობის ზრდას უდიდეს მიღწევად თვლის. იგი ჩილის დახასიათებასთან დაკავშირებით წერს: „მოსახლეობის სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი ჩილის ერთ-ერთ უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს“.

ომს, როგორც მოსახლეობის მასობრივი გაჟლეტის საშუალებას, ფოგტი ცივილიზაციის გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად თვლის. ამავე აზრს იმეორებენ ბურჟუაზიის სხვა დანარჩენი ლაქიებიც — კუკი, პრენტისი, ბარჩი და სხვ. ფოგტი მოითხოვს ევროპის მოსახლეობის განახევრებას, იაპონიის 80-მილიონიანი მოსახლეობის 10-11 მილიონამდე დაყვანას. ასეთია ამერიკელი კაციჭამია მეცნიერების მოთხოვნა.

ნეომალთუსიანელები ემსახურებიან იმპერიალისტების ინტერესებს. ისინი ფაშისტური იდეების პროპაგანდით ცდილობენ მშრომელთა ფართო მასების რევოლუციური შეგნების დახშობას. ვ. ი. ლენინი ნეომალთუსიანელებს ახასიათებდა, როგორც ქაცობრიობის უბოროტეს მტრებს.

„...ჩვენ უეჭველი მტრები ვართ ნეომალთუსიანობისა, — წერს ლენინი, — ამ მიმდინარეობისა, რომელიც საზიზღარია მეშჩანური წყვილისათვის, ჩამორჩენილი და თავმოთნე წყვილისათვის, რომელიც შეშინებული ბუზოტნებს: ღმერთმა ჰქნას, რომ როგორმე თავი გავიტანოთ, შვილები კი უმჯობესია არ ვიყოლიოთო“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 19, გვ. 272).

ნეომალთუსიანელობა განწირული კლასის იდეოლოგიაა. იგი ყოველთვის მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ გამოდის. „შეგნებული მუშები,— წერდა ვ. ი. ლენინი, — ყოველთვის ფრიად დაუნდობლად შეებრძოლებიან იმის ცდას, რომ ეს რეაქციული და ლაჩრული მოძღვრება თავს მოაბეზოს თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ, დიადი გარდაქმნებისათვის ყველაზე უფრო მზადმყოფ კლასს“ (ვ. ი. ლენინი. ტ. 19, გვ. 273).

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონისა“ და ე. წ. მოსახლეობის რეაქციული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი დიდ რუს მეცნიერებს ტიმირიაზევს, კოსტიჩევს, დოკუჩაევს, მიჩურინს, ვილიამსს, ლისენკოს და სხვ.

„კაპიტალისტურ ქვეყნებში, — წერს აკად. ლისენკო, — მიწათმოქმედების თეორია მოგონილი ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „კანონიდან“ გამომდინარეობს. ჩვენი საბჭოთა მეცნიერება, ვ. რ. ვილიამსის მოძღვრება ნიადაგმცოდნეობისა და მიწათმოქმედების შესახებ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ნიადაგის ნაყოფიერება არ ერის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ბუნებრივი დოვლათი. ნიადაგის ნაყოფიერება არის მისი ძირითადი თვისება, რომელიც ყოველთვის იცვლება და ვითარდება მიკროორგანიზმების, მცენარეების და ცხოველების ცხოველმყოფელობის შედეგად“.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერები ნიადაგის ნაყოფიერების დაცემის ერთადერთ მიზეზად თვლიდნენ ნიადაგში საკვებ ნივთიერებების გამოლევას, ხოლო ნაყოფიერების აღდგენის საშუალებად სასუქების გამოყენებას.

დიდმა რუსმა მეცნიერმა კოსტიჩევმა უარყო ბურჟუაზიულ მეცნიერთა ეს დებულება. მან პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ ნიადაგის ნაყოფიერება დამოკიდებულია არა მარტო ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებათა რაოდენობაზე, არამედ ნიადაგის სტრუქტურაზე. ამის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

დოკუჩაევ-კოსტიჩევის მოძღვრება ნიადაგის ნაყოფიერების ფაქტორებისა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებათა შესახებ გაალრმავა და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა სტალინური ეპოქის გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ვილიამსმა.

აკადემიკოსმა ვილიამსმა შექმნა ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის აგრონომიულ ღონისძიებათა მწყობრი სისტემა, რომელიც ნათესბალახიანი სისტემის სახელით არის ცნობილი.

აკადემიკოს ვილიამსის მოძღვრებამ ნიადაგის მზარდი ნაყოფიერების შესახებ უდიდესი როლი შეასრულა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ დამცველთა ანტიმეცნიერული შეხედულებების განადგურების საქმეში. მის მიერ ჩამოყალიბებულმა ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემამ ნათლად დაამტკიცა ნიადაგის მზარდი ნაყოფიერების შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრების ჭეშმარიტება.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ განადგურებისა და მისი სიყალბის დასაბუთების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მიჩურინ-ლისენკოს მიერ შექმნილმა მატერიალისტურმა აგრობიოლოგიამ.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ ბუნებაში რომ არ არსებობს, ამას ამტკიცებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმდიდრესი პრაქტიკა.

სოციალისტურ მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერება განუხრელად იზრდება. 1937 წელს შრომის ნაყოფიერება 1916 წელთან შედარებით 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გადიდდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება სოფლის მეურნეობაში განპირობებულია წარმოების სოციალისტური წესით. საბჭოთა ხალხი, რომელიც შეიარაღებულია მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე მეცნიერებით, წარმატებით იბრძვის ნიადაგის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისათვის, საბჭოთა მეცნიერებს დაუღალავად გამოჰყავთ ახალი, უფრო მაღალმოსავლიანი მცენარეების სახეები, უფრო მაღალპროდუქტიული ჯიშები.

იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორბლის პროდუქცია ნაცვლად ზრდისა, ყოველწლიურად საშუალოდ 0,4 პროცენტით მცირდება, მარტო 1933-37 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ნამატი უდრიდა 53,9 პროცენტს, ხოლო მარცვლეული კულტურების პროდუქციის ნამატი 72 პროცენტს.

ჩვენი ქვეყანა ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ახორციელებს რა ბუნების გარდაქმნის დიად სტალინურ გეგმას, განუხრელად ზრდის ნიადაგების აბსოლუტურ ნაყოფიერებას, რაც კონკრეტულ გამოხატულებას მოსავლიანობის ზრდით პოულობს. ეს სავსებით ნათელს ხდის ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ მოგონილი „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ არარსებობას.

ამხანაგმა სტალინმა სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმდიდრესი პრაქტიკის ანალიზისა და თეორიული განზოგადების საფუძველზე გააღრმავა და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება აგრარულ საკითხზე საერთოდ და ნიადაგის მზარდი ნაყოფიერების შესახებ, კერძოდ.

ამხანაგმა სტალინმა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის გენიალური ანალიზით მკაფიოდ და ნათლად ამხილა ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკა და მათი რეაქციული იდეოლოგია.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების ბოლომდე გამოაშკარავებისათვის.

დოცენტი ვ. კახეთელიძე

ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის!

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მიმართვა

ბერლინი, 22 მაისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეო�, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე და დასავლეთ გერმანიის ბევრი წარმომადგენელი.

სხდომაზე განხილულ იქნა გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ბონის მთავრობა აპირებს მალე მოაწეროს ხელი მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“ დასავლეთის სახელმწიფოებთან, და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია მთელი გერმანელი ხალხის ბრძოლის გაძლიერება უდიდესი ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ.

ვრცელი მოხსენება გააკეთა გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის მოქმედი კონგრესის პრეზიდიუმის წარმომადგენელმა. მან ცხადყო, რომ ბონის მთავრობის მიერ მომზადებული მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“ დასავლეთ გერმანიას აქცევს დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად და სამხედრო* პლაცდარმად მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, რომ იგი ამკვიცრებს გერმანიის გათიშვას, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ართმევს ყველა დემოკრატიულ უფლებას და დასავლეთ გერმანიაში ამყარებს სამხედრო დიქტატურის რეჟიმს.

შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოწმ.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა მიმართვა გერმანელი ხალხისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

დადგა ყველა გერმანელი პატრიოტისათვის ერთობლივი მოქმედების ჟამი! ვინც ახლა მერყეობს, ის პასუხისმგებლობას კისრულობს იმისათვის, რომ ხვალ გერმანელი ხალხი შეიძლება უთვალავ უბედურებაში ჩაადგინ!

რომელი გერმანელი პატრიოტი არ აღშფოთდება და არ გაუწევს წინააღმდეგობას ადენაუერის დანაშაულს?

ადენაუერს, უცხოელთა ბრძანებით, სურს საბოლოოდ გათიშოს ჩვენი საყვარელი სამშობლო. მას სურს ალადგინოს გერმანიის ძველი მტრების — იუნკერთა, კონცერნებისა და ბანკების მფლობელთა ხელისუფლება, რომლებმაც ორჯერ ჩაგდეს გერმანია ეროვნულ კატასტროფაში და საშინელი უბედურება მოუტანეს ჩვენს ხალხს. მას სურს, რომ გენერალი რიჯუეი, რომელმაც სამეფოდმოდ შეირცხვინა თავი კორეაში ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებით, გახდეს ამერიკის იმპერიალიზმის დასავლეთ გერმანული კოლონიის გენერალ-გუბერნატორი. მას სურს გამეორდეს გერმანიის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ეროვნული დამცირება: გაყიდეს გერმანელებისა, რომლებიც ახლა უნდა დაიღუპონ დოლარის ამერიკელ მეფეთა ინტერესებისათვის. იგი ამბობს იმის უგუნურ, გეგმებს, რომ მოეწყოს იმპერიალისტური აგრესია თვით ურალამდე და ამ აგრესიაში მონაწილეობა მიიღოს გერმანიამ, სურს გააჩაღოს ძმათამკვლელი ომი გერმანელებისა გერმანელების წინააღმდეგ. უკვე ახლა ადენაუერის პოლიტიკა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულებისა“ იწვევს პროვოკაციებს, საბოტაჟის აქტებს, ცეცხლის წაკიდებას სადემარკაციო ხაზზე და მშვიდობისათვის მებრძოლთა მოკვლას, რასაც ამერიკელთა ბრძანებით სჩადიან.

მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი ოთხი სახელმწიფოს კონტროლით სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანელი ხალხის წინაშე ხსნის გერმანელთა მშვიდობიანი შეთანხმებისა და გერმანიისა და მთელი მსოფლიოსთვის მშვიდობის უზრუნველყოფის გზას.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო მიმართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას მოწოდებით — მზად იყოს თავის დემოკრატიულ ძიღწეკეთა დასაცავად, მოაწყოს თავისი სამშობლოს შეიარაღებული დაცვა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხელყოფისაგან.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისადმი მიმართვაში ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული დაცვა საჭირო ხდება ბონის მთავრობის ანტიეროვნული მილიტარისტული პოლიტიკის გამო და ამასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხთან ერთად ჩაშალოს ადენაუერის სამხედრო გეგმები, რათა გერმანელთა მშვიდობიანი შეთანხმების გზით მოაწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები და მიაღწიოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

მიმართვის დასასრულს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ იგი მხურვალედ დუჭერს მხარს გერმანელთა ყველა პატრიოტულ გამოსვლას გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად მიუხედავად მათი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური შეხედულებისა.

დასავლეთი ბერლინი ამერიკის დაზვერვის მოქმედების ბაზაა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყების ცნობა

ბერლინი, 22 მაისი. (საკდესი). ადნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყების შემდეგი ცნობა:

ცდილობენ რა ზიანი მიაყენონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და ჩაშალონ მისი მშვიდობიანი მშენებლობა, დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების ჯაშუშურ-დივერსიული ცენტრები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა, აგრეთვე ბონის მთავრობა ღიდი ხნის მანძილზე დასავლეთ ბერლინს იყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დივერსიების, ტერორისტული აქტების, ჯაშუშობისა და პროვოკაციების მოწყობის ცენტრად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ცნობებით, დასავლეთ ბერლინში მომქმედებს რამდენიმე ათეული სხვადასხვა ღიდი ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაცია.

კერძოდ გამორკვეულია, რომ ჯერ კიდევ 1949 წლის მეორე ნახევარში ბონის სრულიად გერმანიის საკითხთა მინისტრის კაიზერის მითითებით დასავლეთ ბერლინში მოეწყო დივერსიულ-ჯაშუშური ცენტრი სახელწოდებით „ფპო“. ამ ცენტრს მიენდო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოგზავნოს დივერსანტები და ჯაშუშები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნას საკუთარი აგენტურა, აგრეთვე დასავლეთ ბერლინში მოაგროვოს სისხლის სამართლის დამნაშავენი და ბნელი ელემენტები, რომლებიც ემზადებიან სასჯელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, და გამოიყენოს ისინი ჯაშუშობისა და დივერსიებისათვის. ამ ჯაშუშური ცენტრის მთავარი ბინა მოთავსებულია დასავლეთ ბერლინში ჰოჰენცოლერნდამზე, 81. ამ ორგანიზაციას მეთაურობენ დამნაშავენი ვერნერ ერენი და ოტო კიესე�er, უშუალოდ „ფპო“-ს საგენტურო მუშაობას ხელმძღვანელობს ჰორსტ გალუნი (ჯაშუშური მეტსახელი „დაიდერი“). „ფპო“-ს მეთაურები იყენებენ დასავლეთ ბერლინში ლტოლვილთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და აიძულებენ მათ აწარმოონ ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამასთან მიღებულ ცნობებს ეროსა და იმავე დროს გზავნიან ორი მისამართით: ამერიკის დაზვერვაში და ბონის კაიზერის სამინისტროში (სრულიად გერმანიის საკითხთა“ სამინისტრო.—**რედ.**).

1949 წლის მეორე ნახევარში დასავლეთ ბერლინში შეიქმნა მეორე ჯაშუშურ-დივერსიული ჯგუფი სახელწოდებით „საბჭოთა ზონის თავისუფალი იურისტების გაერთიანება“, რომელსაც მეთაურობს ამერიკის დაზვერვის ძველი აგენტი ადვოკატი ჰორსტ ერდმანი (ჯაშუშური მეტსახელი „ტეო ფრიდენაუ“). ეს მტრული ორგანიზაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯაშუშობისა და დივერსიების განსახორციელებლად უმთავრესად იყენებს ყოფილი ჰიტლერული იუსტიციისა და გესტაპოს ორგანოების რეაქციულად განწყობილ მუშაკებს.

დასავლეთ ბერლინში მოქმედი ერთ-ერთი აქტიური ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციაა ჯგუფი, რომელიც თავის დროზე შექმნა ამერიკის ცნობილმა აგენტმა ჰილდებრანდტმა და რომელიც თავის თავს ფარისევლურად უწოდებს „მზეცობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფს“. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ დაკავშირებულია ამერიკის საიდუმლო სამსახურთან „ს